## განმარტებითი ბარათი

**„სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე**

### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

*ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:*

კანონპროექტის მომზადება განაპირობა მოქალაქეობისა და უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის საკითხებთან დაკავშირებით განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა, რომელთა მიხედვით არსებითად მარტივდება მოქალაქეობისა და უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის საკითხებთან დაკავშირებული პირობები და პროცედურები.

*ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:*

კანონპროექტის მიზანია „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტით გასაუქმებელი სახელმწიფო ბაჟის ნაცვლად გაზრდილი მომსახურების საფასურის დაწესება, ხოლო დაჩქარებული მომსახურებისთვის, რაც ამ საკითხებით დაინტერესებულ პირებს საშუალებას მისცემს დროულად მიიღონ მათთვის საჭირო ცნობები, გაზრდილი საფასურის დადგენა.

*ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:*

პროექტის თანახმად, მე-5 მუხლს ემატება $11^{1}$-$11^{7}$ პუნქტები, რომელთა მიხედვით საქართველოს მოქალაქეობის მიღების საკითხის განხილვისა და განცხადების შეტანიდან 90-ე დღეს შესაბამისი დასკვნის მომზადებისთვის მომსახურების საფასურია 100 ლარი, ხოლო მე-60 დღეს მომზადებისთვის – 200 ლარი.

საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის საკითხის განხილვისა და განცხადების შეტანიდან 30-ე დღეს შესაბამისი დასკვნის მომზადებისათვის მომსახურების საფასურია 100 ლარი, მე-20 დღეს მომზადებისათვის – 200 ლარი, ხოლო მე-10 დღეს – 300 ლარი.

საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის საკითხის განხილვისა და განცხადების შეტანიდან 30-ე დღეს შესაბამისი დასკვნის მომზადებისთვის მომსახურების საფასურია 100 ლარი, ხოლო მე-20 დღეს მომზადებისათვის – 150 ლარი.

დროებითი ბინადრობის ნებართვის შესახებ განცხადების შეტანიდან ნებართვის 30-ე დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასურია 180 ლარი, მე-20 დღეს გაცემისათვის – 300 ლარი, ხოლო მე-10 დღეს გაცემისათვის – 380 ლარი. ამ შემთხვევაში არ იზრდება 30 დღეში გაცემისთვის სახელმწიფო ბაჟით გათვალისწინებული თანხა და ისევ 180 ლარი რჩება.

საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის შესახებ განცხადების შეტანიდან ნებართვის 30-ე დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასურია 180 ლარი, ხოლო მე-20 დღეს გაცემისათვის – 300 ლარი.

ემიგრაციის ნებართვის შესახებ განცხადების შეტანიდან ნებართვის 30-ე დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასურია 60 ლარი, ხოლო მე-20 დღეს გაცემისათვის – 160 ლარი.

მოქალაქეობის დადგენის შესახებ განცხადების მე-15 დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასური არ გათვალისწინებულა, მაშინ როდესაც მისთვის 1[illegible]-დღიანი სახელმწიფო ბაჟი იყო დადგენილი. მოქალაქეობის დადგენის შესახებ

განცხადების მე-5 დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასურია 30 ლარი, მე-3 დღეს გაცემისათვის – 50 ლარი, ხოლო იმავე დღეს გაცემისათვის – 75 ლარი.

## ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

*ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:*

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

*ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:*

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შემცირებას, ვინაიდან მოქალაქეობის, ბინადრობისა და ემიგრაციის საკითხთა განხილვა-გადაწყვეტისათვის ბაჟი აღარ გადაიხდება, ხოლო აღნიშნული მომსახურებისთვის დაწესებული საფასური ნაირიცხება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ანგარიშზე.

*ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:*

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

*ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:*

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

*ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:*

მოქალაქეობის, ბინადრობისა და ემიგრაციის საკითხთა განხილვა-გადაწყვეტით დაინტერესებულ პირებს ეკისრებათ სახელმწიფო ბაჟის ნაცვლად სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დადგენილი საფასურის გადახდის ვალდებულება (დაჩქარებული მომსახურებისათვის საფასურის გაზრდილი ოდენობის ჩათვლით). ამასთან, პირი თავისუფლდება საქართველოს მოქალაქეობის დადგენისათვის განსაზღვრული ბაჟის (10 ლარის ოდენობით) გადახდის ვალდებულებისაგან, თუ ეს უკანასკნელი არ ისარგებლებს სააგენტოს მიერ შემოთავაზებული დაჩქარებული მომსახურებით.

*ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):*

კანონპროექტი ითვალისწინებს სახელმწიფო ბაჟის ნაცვლად სამოქალაქო რეესტრის სააგენტო მიერ გაწეული მომსახურების საფასურის დაწესებას.

## გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

*გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:*

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

*გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:*

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

*გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:*

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში
მიღებული კონსულტაციები

*დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:*

კანონპროექტის შემუშავებაში ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

*დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:*

ასეთი არ არსებობს.

*დ.გ) კანონპროექტის ავტორი*

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

*დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი*

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.